საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარი კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვაურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველგვერდზე 500 ათასი მან. უკანასკნელზე 300.000 მან. განცხადება 10.000 ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6. ფოსტის ყუთი № 190. ტელეფონი 10—34.

№ 373

კვირა, დეკემბერი 24

1922 წ.

გაზეთის ფასი ყველგან 5.000 მ.

● რუსთაველის თეატრი ●

კვირას 24 დეკემბერს

სინათლე

№ 270 1—1

## ხელფასის საკითხი

ხელფასის საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დღეს. მშრომელთა ბატონობა და მუშათა ხელფასის ნორმა არ შეიძლება ურთიერთ გავლენის გარეშე დადგეს.

ჩვენ უკვე თავისუფალი ვართ იმ ფანტაზიებისაგან, რომელსაც აყენებდა სხვა და სხვა თეორია ხელფასისა, რომელთა უმთავრეს დებულებას შეადგენდა მტკიცება იმისა, რომ ხელფასს განაგებს „რკინის კანონი".

ხელფასის პირობების გათვალისწინება საერთო მაშტაბით უკვე ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ ხელფასის სიდიდეს განსაზღვრავს ერთი მხრით შრომის ნაყოფიერების სიდიდე და მეორე მხრით მუშათა სოციალური ძალა.

დღეს მუშათა ხელთაა სახელმწიფოს სადავე და მიუხედავად ახალი ეკონომიური პოლიტიკისა, მას შეუძლია მაქსიმალურად გამოყენება საზოგადოებრივი დოვლათის მუშათა ფართო მასების უზრუნველყოფისა და ხელფასის ნორმის გადიდებისათვის.

საერთოდ ქვეყნის ეკონომიური ვითარება დღეს გამოცოცხლებას განიცდის. ამას აქვს საკმაო საფუძველი, რომელიც ჩამარხულია, როგორც მოსავლის სიდიდეში, ისე ეკონომიური პოლიტიკის ჯანსაღობაში. ამ შემთხვევაში სატარიფო პოლიტიკა მოითხოვს გადასინჯვას და დოვლათის რაციონალურად გამოყენებას. ხელფასის გადიდებით შესაძლებელი გახდება წარმოების ნაყოფიერების ზრდაც, რადგან საარსებო მინიმუმამდე ჯერ კიდევ არ მიუხწევია ხელფას, რაც მიუღებელია, როგორც მუშათა ინტერესების მიხედვით, აგრეთვე თვით წარმოების ინტერესითაც.

დღეს, როდესაც ხელფასის შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ სამი უმთავრესი დებულება. პირველი—უნდა მოხდეს ჯამაგირების ვალიუტარიზაცია; მეორე—უნდა გათანასწორდეს ხელფასის ნორმა სხვა და სხვა დაწესებულებათა შორის, რომელნიც შრომის თვალსაზრისით ერთ კატეგორიაში მოთავსდება! მესამე—უნდა შემცირდეს სხვაობა ხელფასის უმაღლეს და უმცირეს კატეგორიას შორის.

ჯამაგირების ვალიუტარიზაცია აუცილებელია დღეს, რადგან ბაზრის ფასებს რყევას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გასდევს ფეხ და ფეხ ფულის ნიშნებში გამოხატული ხელფასი როგორი სტაბილიურიც არ უნდა იყოს ეს ნიშნები. ამის ილუსტრაცია ჩვენ მივიღეთ უკანასკნელ ხანში საბირჟო სპეკულიაციის სახით, როდესაც სპეკულიანტებმა შესძლეს პანიკის გამოწვევა.

ასეთი საფრთხის დაძლევა შესაძლებელია, მაგრამ მისი გავლენის სავსებით მოსპობა ფრიად საძნელოა. ერთად-ერთი საზომი არსებულ პირობებში ხელფასის ვალიუტის კურსს უნდა მივაკუთვნოთ. ამ მხრივ შეგვიძლია ხელფასის სიმტკიცით შენახვა და სატარიფო პოლიტიკის მტკიცე საფუძველზე აგება.

რაც შეეხება დაწესებულებათა შორის ხელფასის გათანასწორებას, სადაც შრომის პირობები ერთგვარია, ამას ბევრი მტკიცება არ დასჭირდება, ეს ანომალიაა, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს.

ასეთივე უნდა ითქვას ხელფასის ნორმის შემცირების შესახებ მაღალსა და დაბალ კატეგორიას შორის. ხელფასის საფუძვლად საარსებო მინიმუმი უნდა ჩაითვალოს ოჯახის საშუალო რიცხვისა და შემდეგ შეიძლება კვალიფიკაციური შრომის სპეცების დაჯილდოება, რომელიც იმპულსს შექმნის მეტი აქტივობისათვის.

ამ მხრივ საჭიროა ხელფასის საკითხის გადასინჯვა და არსებულ ეკონომიურ პირობებში მისი რაციონალურად გადაჭრა, რომელმაც უნდა მოგვცეს ერთი მხრით მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და მეორე მხრით წარმოების და შრომის ნაყოფიერების აღდგენისათვის საჭირო პირობები.

## პრესა

გაზეთი „მუშა" კვლავ თავის ყურადღებას არ გვაკლებს და № 27-ში ცდილობს ჩვენ დამცირებას იმით, რომ გვიწოდებს ძველი ნაგვის გადამქექავს, ყურებში ბამბა დაცულ და ქურ'ში ჩამძვრალ ხალხს. ვეკითხებით გაზეთის მეპრესეს: პოლემიკა გწადიათ თუ ლანძღვის გუნებაზედ ბრძანდებით? უკანასკნელში ჩვენ არ გამოგყვებით. გარდა ამისა მოგაგონებთ, რომ ლანძღვა მენშევიკური ძველი ხურჯინიდან ამოღებული მეთოდია ბრძოლისა და მას მუდამ ის მხარე მიმართავს, რომელსაც სხვა საბუთი ვერ მოუნახავს.

„ისინიო, სწერს გაზეთი ჩვენ შესახებ ყოველთვის ყოყლოჩობდენ გლეხთა საკითხში თავის სოციალიზაციით—მიწების განსაზოგადოებრივობით, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვიცით როდესაც საქმე საქმეზედ მიდგება რა ხალხის დამცველებია ეს დარდიმანდი ხალხი". სოციალიზაცია მათ „სიტყვა-სიტყვით" გადმოღებულ აქვთ რუსეთის ესერების პარტიიდან, რომელსაც თავის ბატონობის ჟამს გლეხიც დაავიწყდა და სოციალიზაციაცო.

ასევე მოიქცეოდენ სოც.-ფედერალისტებიც, რომ ძალა-უფლება ხელში ჩაეგდოთო.

ჩვენ აგრარული პროგრამა არა სიტყვა-სიტყვით გადმოღებულია ესერების პროგრამიდან. რუსეთსა და საქართველოს შორის განსხვავება იყო როგორც მიწადმფლობელობის, ისევე მეურნეობის მხრით. ჩვენ პროგრამაშიაც სათანადო ცვლილებაა შეტანილი. მეპრესემ ეს არ იცის და სინამდვილეს ამახინჯებს. მას არც ის სცოდნია, რომ სოციალისტური პარტიების პროგრამას არ შეიძლება ერთმანეთთან ნათესაობა არ ჰქონდეს.

ქართველი მშრომელი ხალხი ჩვენ იცნობს ჩვენ და იცის კარგათ, თუ როგორც ვიცავდით სოციალიზაციის და ვებრძოდით მენშევიკების აგრარულ პროგრამას ყველგან: პრესაში, დამფუძნებელ კრებაში, კრებებზედ, მიტენგებზედ.

„მუშის" მეპრესეს აქაც შეუძლია გვისაყვედუროს: აი ისევ ძველი ხურჯინი გადმოალაგაო! უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ძველ ხურჯინში არ გვიწყვია „ჩამონაჭრების" და „მუნიციპალიზაციის" პროექტები და ამიტომ არც უხერხულად მიგვაჩნია მისი გადმოლაგება, როცა ამას საჭიროება მოითხოვს.

შემდეგ მოყვანილია „ტრიბუნიდან" დასაწყისი წერილისა: „გლეხი და სოციალიზმი". (იხ. „ტრიბუნა" № 373).

„ცნობილია მარქსიზმის უარყოფითი დამოკიდებულება გლეხისადმი. მარქსისტული გაგებით გლეხია გაუსწორებელი რეაქციონერი, ის როგორც მესაკუთრე ბურჟუაზიულ კლასს ეკუთვნის და მაშასადამე ანტაგონისტურ განწყობილებაშია პროლეტარიატისადმი; სოციალიზმი გლეხისათვის სრულიად მიუღებელია. ცნობილია ასეთი მარქსისტული გამოთქმები: სანამ გლეხის თავი ფაბრიკის ქვაბში არ გამოიხარშება, მანამ ის სოციალიზმს ვერ შეიგნებსო; ან კიდევ გლეხი ისე ვერ შეედრება პროლეტარს, როგორც ბაყაყი ცისარტყელასო და სხვა ამგვარი მარგალიტები".

მეპრესე ამას უწოდებს სიყალბეს და მიხვეულ-მოხვეულ არაკებს. მაგრამ ეს ცარიელი სიტყვებია. მან საბუთებით უნდა დაამტკიცოს, რომ მოყვანილ ამონაწერში დამახინჯებულია შაბლონური მარქსიზმის შეხედულება გლეხობაზედ.

შემდეგ ჩვენ ვსწერდით, რომ ბოლშევიკებმა უკვე აზრი შეიცვალეს გლეხობაზედ რაკი დარწმუნდნენ შაბლონური მარქსიზმის უვარგისობაზედთქო. ამაში დავიმოწმეთ ამხ. ზინოვიევი, რომელიც სწერს:

„კომინტერნის მე-4 კონგრესმა უარყო ეს შაბლონიური მარქსიზმი, რომელიც მიჰყვება „ძველ კურთხეულ" სოციალდემოკრატიულ ტრადიციებს და რომლის თანახმად კომუნისტები მაინცა და მაინც არ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი გლეხობითაო".

დაგვიმტკიცოს „მუშის" მეპრესემ წინააღმდეგი.

## ნარკვევი

### ფაშისტური პროფკავშირები იტალიაში.

მოსკოვის „პრავდა"-ში მოთავსებულია წერილი რომიდან, რომნლიც ეხება ფაშისტურ პროფკავშირებსა და მათ მუშაობას იტალიაში. წერილი საინტერესოა ფაშისტური მოძრაობის ხასიათის გასარკვევად, რომელსაც მოკლეთ ვათავსებთ.

ამ დღეებში ბოლონში შესდგა იტალიის ფაშისტური პროფკავშირების ყრილობა. ამ ყრილობაზე მდივანმა განაცხადა, რომ მათ უკვე მილიონზე მეტი წევრი ყავთ. ყრილობაზე მიღებულ იქნა პროგრამა, რომელიც შემდეგ თეზისებს შეიცავს:

ფაშისტური პროფკავშირები ისწრაფვიან კაპიტალიზმის განვითარებისაკენ როგორც საერთო განვითარების საფუძველისკენ. ისინი ხელს შეუწყობენ „პროლეტარული არისტოკრატიის" შექმნას. კლასიური ბრძოლის ადგილი უნდა დაიკავოს ცალკე პიროვნებათა თავისუფალმა მეტოქეობამ. მაგრამ ყველა კლასები საჭირონი არიან. ფაშისტები წინააღმდეგია საყოველთაო გაფიცვების მათ სურთ პროფკავშირებში გააერთიანონ მთელი ხალხი (მაშასადამე კაპიტალისტებიც). აქვე მოყვანილია ფრაზა, რომ ყველამ უნდა იმუშაოს.

შემდეგ ყრილობამ დაადგინა. რომ იმ ორგანიზაციების რიცხვიდან, რომლებიც სარგებლობენ მთავრობასთან დამოკიდებულებით, გამორიცხულ უნდა იქმნენ ისეთი ორგანიზაციები, რომელნიც მხარს უჭერენ საერთაშორისო კავშირს და არიან რომელიმე საერთაშორისო კავშირის წევრები. (საქმე იმაშია, რომ რაიმე კანონპროექტის შეტანამდი შრომის სამინისტრო დაკითხავს მუშებს და დამქირავებლების წარმომადგენდებს).

დელეგაციამ ეს დადგენილებანი მუსოლინს აცნობა და მან ისინი დაამტკიცა.

მთელ პროგრამაში ერთი სიტყვაც არ არის პროლეტარიატის საჭირ-ბოროტო საკითხებზე, უმუშევრობაზე, ეკონომიურ დს პოლიტიკურ მოთხოვნილებეზე. ცხადია, ასეთი პროგრამით ფაშისტები ვერ მიიმხრობენ მუშათა მასებს ფაშისტური პროფკავშირები შემდეგი მიზეზებით არიან წარმოშობილნი.

1. ფაშისტებმა დაარბიეს პროფკავშირების და მუშათა სახლები და დასვეს იქ თავიანთი ბიუროკრატია, რომელთათვისაც მასსების შეკრება არსებობის საკითხათ იქცა.

2. ფაშისტებმა შესძლეს პრივილეგიურ მუშათა ფენის შექმნა, განსაკუთრებით სასოფლო-მეურნეობაში.

3. ფაშისტები აწარმოებდენ კლასიურ ბრძოლას, რამოდენათაც ეს ტერმინი შეიძლება აქ ვიხმნროთ. მათ შესძლეს ზოგიერთი მუშათა ჯგუფების სახელით უკეთესი კოლექტიური ხელშეკრულების შეკვრა, ვიდრე ეს წითლებს შეეძლოთ, რადგან მემამულეებმა მეტი დათმობა გამოიჩინეს ფაშისტურ ორგანიზაციებისადმი. მათ ადვილად მოიგეს წანაგები რადგან მუსოლინმა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისთანავე გამოაქვეყნა დადგენილება, რომლითაც გაუქმებულია პროექტების უფლება მემამულეების დაუმუშავებელი ადგილების დაკავებისა.

4. ფაშისტები აჯანყებას ახდენდენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინააღმდეგ უმუშევრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასეთი შემთხვევა იყო პროვინცია ფერრარიაში.

5. ისინი არ ჩერდებოდენ არავითარი ანტი-კაპიტალისტური დემაგოგიის წინაშე.

6. ფაშისტების მუშაობა იოლი ხდებოდა მით, რომ მათ განკარგულებაში იყო დიდძალი თანხა ფულისა.

7. ფაშისტები კოხტაობდენ პროლეტარიატის წინაშე. მათ ბურჟუაზიისაგან ფული მხოლოდ 1920 წლიდან აიღნს. ჯერ კიდევ 1921 წ. ფაშისტების დეპუტატი გრონდი წინადადებას იძლნვა, რათა ფაშისტებს მიეღოთ პროგრამათ პროფკავშირების თეზისები, რომელნიც დ'ანუნციოს გავლენის ქვეშ იყვენ. ხანდახან მუსოლინი სწერდა წერილებს რესპუბლიკის დასაცავად და პლუტოკრატიის წინააღმდეგ. ასეთი დემაგოგია მათ უფრო ეხერხებოდათ, რომ მათ რიგებში იყვენ ბევრი ძველი რევოლიუციონერები ფაშისტებში მრავლია დეკლასიური ინტელიგენტ-პროლეტარები. ეს ელემენტები უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი მდგომარეობით, ისწრაფოდენ რაღაც ახლისაკენ, რაც თავითვე არ ესმოდათ თუ რა იყო.

მაგრამ ყოველივე ეს არ აინტერესებს ბურჟუაზიას. ის ფულებს აძლევდა ფაშისტებს და სურდა ისინი თავის მიზნებისთვის გამოეყენებია. ის აღნიშნავდა კიდევ ფაშისტური პროგრამიდან იმ მუხლების გაუქმებას, რომელიც მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

მაგრამ ადრე თუ გვიან ბურჟუაზიის კიდევ მოუხდება ფაშიზმის იმ მიმართულებებთან შეკავშირება, რომლებიც პოტენციალურათ მის წინააღმდეგაა მიმართული. მუშათა მასებს ხომ არ შეუძლიათ კლასიურ ბრძოლაზე უარის თქმა. შესაძლებელია რამდენიმე ხნით ნიღაბის ტარება, მაგრამ არა ყოველთვის.

მომავალი უიმედოა. მსხვილი კაპიტალისტები გამარჯვებას დღესასწაულობენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ფაშიზმი ყოველთვის გაუწევს მათ სამსახურს. მაგრამ შესძლებს კი ფაშიზმი მასების შენარჩუნებას, თუ ის ერთგულად და სისტემატიურად ემსახურება ბურჟუაზიას?

## ლოზანას კონფერენცია

### ეროვნულ უმცირესობათა საკითხი.

**მოსკოვი.** დეკ. 23. ეროვნულ უმცირესობათა კომისიაში ოსმალეთის დელეგაციამ წამოაყენა დებულება, რომ ოსმალეთში ეროვნულ უმცირესობად ითვლებიან ყველა არა მუსულმანები. დელეგაცია მტკიცედ იცავდა აზრს, რომ საჭიროა მოსულის რაიონის ქურთების მოსახლეობის ოსმალთა მოსახლეობად აღიარება. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ინგლისელებმა რომელნიც დაინტერესებულნი არიან ქურთების დამოუკიდებლობით.

### ახლო აღმოსავლეთი.

### ოსმალეთ-საბერძნეთის ინცინდენტი.

**ჟანნოვერი.** 23 დეკ. ეროვნულ უმცირესობათა საკითხის განმხილველ კომისიის სხდომაზე, 20 დეკემბერს დიდი განხეთქილება მოხდა საბერძნეთის და ოსმალეთის დელეგატების შორის. ვენიზელოსი ბრალს სდებდა ოსმალეთს მცირე აზიაში ბერძნების სისტემატიურად შევიწროებაში, რის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა რიზა-ნური-ბეი, რომელმაც განაცხადა, რომ ვენიზელოსი არის მიზეზი მცირე აზიაში მომხდარ სისხლის ღვრისა. მღელვარებამ სხდომაზე ისეთი ხასიათი მიიღო, რომ კომისიის თავმჯდომარე იძულებული გახდა სხდომა გადაედვა.

### მოკავშირეები ცდილობენ.

**ჟანნოვერი.** 23 დეკ. ლოზანიდან იტყობინებიან, რომ კერზონი, ბარერი და გარრონი სცდილობენ შეიმუშაონ შემარიგებელი ფორმულა სრუტეების საკითხში. ისმეტ-ფაშა მტკიცეთ იცავს თავის მოთხოვნილებებს, რომელიც მიმართულია მოკავშირეთა პროექტის წინააღმდეგ.

### ჩქარობენ.

**ბორდო,** 23 დეკ. როგორც ფიქრობენ დელეგაციები ძალიან ჩქარობენ მიაღწიონ შეთანხმებას სრუტეების საკითხში შობის დღესასწაულებამდე.

### ოსმალეთი და ერთა ლიგა.

**ლიფილდი,** 23 დეკ. ეროვნულ უმცირესობათა საკითხის გამო მოკავშირეებმა შემოიტანეს წინადადება ამ საკითხის ერთა ლიგისათვის გადაცემის შესახებ. ოსმალებმა უარყვეს ეს წინადადება, ვინაიდან იგი ლახავს ოსმალეთის სუვერენიტეტს. ვენიზელოსმა წინადადება შეიტანა საბერძნეთის არმიიდან მუსლიმანების გამორიცხვის შესახებ, რაზედაც ოსმალებმა უპასუხეს, რომ ის რაც საბერძნეთში ხდება ოსმალეთისათვის სავალდებულო არ არის.

### ბულგარეთის სურვილი

**ლიფილდი,** 23 დეკ. ბულგარეთმა გამოსთქვა სურვილი მოსმენილ იქნას მისი აზრი ეროვნულ უმცირესობათა საკითხის შესახებ, ემყარება რა იმას, რომ აღმოსავლეთ ფრაკიაში, რომელიც ოსმალეთს დაუბრუნდა, სცხოვრობს მრავალი ბულგარელი. ოსმალებმა უპასუხეს მიკიბულ-მოკიბულად, ხოლო მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მოუსმინონ როგორც ოსმალეთს ისე ბულგარეთს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ უცქერიან ამას ოსმალები.

### კაპიტულიაციის საკითხი

**ლონდონი,** 23 დეკ. კაპიტულიაციის ქვეკომისიაში იხილავდენ დებულებას ოსმალეთში უცხოელების წარმოებათა მოწყობის შესახებ. ოსმალები პრინციპიალურად დაეთანხმენ, რომ უცხოეთის ფირმებზე არ იქნება უფრო მეტი გადასახადები გაწერილი, ვინემ ოსმალეთის ფირმებზე, მხოლოდ იმ პირობით, თუ უცხო სახელმწიფოები ოსმალეთის კომპანიების მიმართ შეიმუშავენ ისეთივე დებულებას, როგორიც ოსმალეთში იარსებებს უცხოეთის ფირმებისათვის.

## უცხოეთი

### ირლანდიაში.

**მოსკოვი.** დეკ. 23. დუბლინიდან იუწყებიან, რომ იქ სიკვდილით დასაჯეს 7 კაცი იარაღის უკანონოდ ტარებისათვის.

### ამერიკელები და მცირე აზია.

**მოსკოვი.** დეკ. 23. ამერიკელებმა მცირე აზიაში მიიღეს დიდი კონცესიები რკინის გზების გასაყვანად და ორი ნავთსადგურის მოსაწყობად ანატოლიაში. კონცესიით ამერიკელებს რკინის გზის ორივე მხარეზე 2 ნახ. მილის მანძილზე მინერალური სიმდიდრეთა ექსპლოატაციის უფლება ეძლევათ. ეს რაიონი შეიცავს კირკულის და მოსულის ნავთის მაღაროების ნაწილს.

### საბერძნეთში.

**მოსკოვი.** დეკ. 23. სალონიკში გაიხსნა საბერძნეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის კონგრესი.

— საბერძნეთის გავლენიან პოლიტიკურ წრეებში, სადაც საბჭოთა რუსეთს უარყოფითად უყურებდენ, თან და თან ფეხს იკიდებს საბჭოთა რუსეთისადმი დადებითი განწყობილება.

### ბალკანეთის არევ-დარევა.

**პრაგა.** როგორც „გაზეტა დე პრაგ"-ი იტყობინება სამხრეთ სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნიშირმა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ ბელგრადის პრესის წარმომადგენლებს გაუკეთა შემდეგი განცხადება მისი სიტყვით, ბულგარეთის მცირე ანტანტაში მიღების შესახებ აქამდე არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა წარმოებული. ბალკანეთის ყველა საქმეებში სამხრეთ-სლავია სავსებით შეთანხმებულია. ჩეხოსლოვაკიასთან. სამხრეთ სლავია მთელ თავის ძალ-ღონეს მოახმარს ჰუნგრეთთან კეთილგანწყობილების დამყარების საქმეს. ჰუნგრეთის ინტელიგენციის სამხრეთ-სლავიის საწინააღმდეგო მოღვაწეობა არ შეიძლება სერიოზულ მოვლენად ჩაითვალოს, რადგან ის ამისთვის მეტად სუსტია სწარმოებს მოლაპარაკება ბულგარეთთან. ბულგარეთის მთავრობამ უარყო სამხრეთ-სლავიის მიერ წარდგენილი ბულგარეთის კომიტაჯიების ბანდებთან ბრძოლის პროექტი მის მოქმედებიდან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ მას არ სურს კეთილ-განწყობილების დამყარება სამხრეთ-სლავიასთან, რომელმაც თავის მხრივ გააკეთა ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო, სამხრეთ სერბიის ბულგარეთის კომიტადჯიების ბანდებისაგან გასაწმენდათ. მიუხედავად ამისა სამსრეთ სლავია ეცდება იქონიოს ჰუნგრეთთან კეთილმეზობლური განწყობილება. იტალიასთან სწარმოებს მოლაპარაკება დალმაციის იტალიურ სკოლე-

ბის მასწავლებელთა პერსონალის შესახებ. პოლონეთი ყველა საკითხებში და ყოველთვის ეთანხმება მცირე ანტანტას. სამხრეთ სლავია საბერძნეთის მოკავშირეა და არ დასტოვებს ამ კავშირს. ავსტრიასთან გვაქვს მჭიდრო ურთიერთობა, რომელსაც მომავალშიაც შევინარჩუნებთ. რაც შეეხება რუსეთს, აქ ნინჩიჩმა მოიგონა თავისი ძველი განცხადებები და განაცხადა, რომ სამხრეთ-სლავია არასოდეს არ მიიღებს მონაწილეობას არავითარ საერთაშორისო გამოსვლაში რუსეთის წინააღმდეგ.

„პტი პარიზენი“ კმაყოფილებას გამოსთქვამს საერთო ინგლის-საფრანგეთის ფლოტის დაწესების გამო:“ ლონდონსა და პარიზს შორის დიდი განსხვავება არ არის. სანამ მიღებულ იქნება რაიმე ტრაღიკული გადაწყვეტილება, ყველაფერზე უფრო ბუნებრივია, რომ პირველ უთანხმოებისთანვე დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გამართონ ურთი-ერთშორის გულახდილი მოლაპარაკება. მეგობრებს შორის, როგორც მოკავშირე ერებს შორის, ხშირად საკმაოა ერთი სიტყვა, რათა თავიდან აცილებულ იქნეს მეტად სერიოზული გაუგებრობანი.

**ვატიკანის აღმოსავლეთის პოლიტიკა.**

**პარიზი.** დეკ. 23. „ეხო დე პარი“-ს სიტყვით ვატიკანის წრეებში გამეფებულია რწმენა, რომ ინგლისის პროზელიტიზმი და იმპერიალიზმი არის მთავარი დაბრკოლება აღმოსავლეთში კათოლიკური იდეების გავრცელებისათვის, ამიტომ ვატიკანში აშკარად გამოსთქვამენ სიხარულს ოსმალეთის გამარჯვების შესახებ და ქემალსა და პაპას შორის კეთილგანწყობილების დამყარების გამო. ვატიკანში იმ აზრის არიან, რომ კონსტანტინეპოლისა და წმინდა ადგილებისათვის ყველაზე უფრო შესაფერის მმართვა-გამგეობათ უნდა ჩაითვალოს ოსმალეთის მმართვა-გამგეობა.

**პასაუს ინციდენტის გამო**

**პარიზი** 23 დეკემბერი. ბერლინის გაზეთების ცნობით, ბავარიის მთავრობამ უარი განაცხადა პასაუს ბურგომისტრების და ინგოლშტადტის გადაყენებაზე, რადგან ის სავალდებულოდ არ სცნობს მოკავშირეების ყველა მოთხოვნილებებს.

## გერმანიის ამბები

**ფასების ზრდა.**

**მოსკოვი.** 23 დეკ. გერმანიაში ფასები პირველს საჭიროების საგნებზე იზრდება. გამოცხადებულია პურზე ფასების აწევა. შესაძლებელია რკინის გზელთა საერთო გაფიცვა. იუწყებიან, რომ იანვარში მოსალოდნელია ეკონომიის მიზნით 60.000 რკინის გზელის დათხოვა.

**გერმანიის მუშათა შორის.**

**მოსკოვი.** 23 დეკ. ლიუდვისგაფენის გაფიცვები დამთავრდა მუშების დამარცხებით სრულიად გერმანიის მელითონეთა კავშირის ყვითელ ხელმძღვანელების ღალატის გამო. თანახმად დადებულ პირობისა, მუშებს არა აქვთ უფლება უარი სთქვან ნაჭრობითი სამუშაოზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დათხოვნილ იქნებიან. ეს პირობები გულისხმობენ აგრეთვე პიროვნულ გაჩხრეკას, სამუშაო დღის გაგრძელებას და ფაბრიკების შენობაში მუშაობის დროს პოლიტიკურ და პროფესიონალურ კრებების აკრძალვას.

გაფიცვის კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებს მუშებს ებრძოლოს როგორც მწარმოებლებს ისე გერმანიის პროლეტარიატის რიგებში მყოფ მოღალატეებს.

## რუსეთი

**ოსმალეთი და რუსეთი**

**მოსკოვი,** 23 დეკ. ოსმალეთის ელჩად დანიშნულმა მუხტარ-ბეიმ გადასცა რწმუნების სიგელი სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარეს კალინის. ელჩმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა ორთავე სახელმწიფოსათვის მძიმე პირობებში, განმტკიცებულია. ოსმალეთი და რუსეთი განაგრძობენ თანამშრომლობას საერთო მშვიდობიანობისა და კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების აღდგენისათვის.

საპასუხო სიტყვაში კალინინმა აღნიშნა, რომ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობის ფესვები განდგმულია ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებისადმი მათ დამოკიდებულებაში. მან სთქვა, რომ ლოზანას მოლაპარაკება ამტკიცებს, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს ოსმალეთისათვის მომავალი ბრძოლა. კალინინმა იმედი გამოსთქვა. რომ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა საფუძვლად დაედება ორთავე სახელმწიფოს პოლიტიკას.

**საუბარი ამხ. მიასნიკოვთან**

**მოსკოვი,** 23 დეკ. საბჭოთა ყრილობაზე ჩამოსულმა ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მიასნიკოვმა გაზეთების თანამშრომლებს აცნობა შემდეგი:

„ამიერ-კავკასიის ძირითად ამოცანას შეადგენს სასოფლო მეურნეობის განმტკიცება. დღის წესრიგშია მუღანის, მილის და სარდარ-აბადის მინდვრების მორწყვა. მუშაობის დამთავრების შემდეგ ამიერ-კავკასიას აღარ დასჭირდება პურის შემოზიდვა უცხოეთიდან მიწის მორწყვის მუშაობის დაჩქარებისათვის უცხოეთში დაკვეთილია რამდენიმე ასეული ტრაქტორი, რომლის ნაწილი უკვე მიღებულია. ადერბეიჯანის და სომხეთის ბამბის მოშენების საქმე, რომელიც დაცემულია აღდგენილი იქნება. გაზრახულია ბამბის ნათესების მოედანი პირველ შემთხვევაში გაფართოებული იქნეს 30,000 დესეტ. ნავთის ამოღება ბაქოში დღიურად აღწევს 500 ათას ფუთამდე. ბურღვისათვის მუშაობს 40 საბრუნავი დაზგა. ამუშავებულია ქარხნები, რომლებიც უყურადღებოდ იყო დატოვებული იმპერიალისტური ომის შემდეგ მათ შორის ყველაზე უფრო დიდი ქარხანა ბაქოში ყოფ. მანთაშევის. სწარმოებს ბეკონდორფის დამწვარ ქარხნის შეკეთება და სხვ. ამიერ-კავკასიაში არსებული სავალიუტო გაუგებრობა განვლილია. შემოღებულ იქნება ერთიანი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშანი, რომელიც ორი თვის შემდეგ შესცვლის ყველა ცალკე რესპუბლიკების ფულის ნიშნებს.

## ახალი ამბები

**შრომის სახალ. კომისარიატში**

**— შრომის ხარკის დარგი. (ნოემბერი)** ფინანსთა სახ. კომისარიატთან ერთად შემუშავებული იქნა და სახ. კომ. საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენილი დადგენილების პროექტი რესპუბლიკის სკოლებში 1922 წლის შრომის და ტვირთზიდვის ხარკის ფულადი შეცვლის შესახებ.

დაეგზავნა შრომის განყოფილებებსა და სამაზრო აღმასკომებს ცირკულიარი რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებში შრომის ხარკის ფულადი შეცვლის დამთავრების შესახებ. ადგილობრივი შრომის განყოფილებებიდან მიღებული ცნობა, მე-2 სახარკო პერიოდში (ივნისი—ოქტომბერი) შრომის სახ. კომ. სიის თანახმად ხარკის წესით სახელმწიფოებრივ სამუშაოებზე მოხმარებულია 47563 მუშადღე და 15416 ტვირთზიდვის დღე, ხოლო ადგილობრივ საჭიროებათათვის —34.662 მუშა-დღე და 20.928 ტვირთზიდვის დღე, რაც შეადგენს სულ 82.225 მუშა-დღეს და 36.344 ტვირთზიდვის დღეს, რომელიც ნაწილდება რესპუბლიკის 14 მაზრებს შორის. ხარკის ფულადი შეცვლა რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში დამთავრებულია.

ეხლა სწარმოებს საორგანიზაციო მუშაობა, თუ როგორი სახით უნდა იქნეს დატოვებული შრომის ხარკი 1923 წლისათვის.

**— ახალციხე.** (შრომის განყოფილება) ნოემბერში აღრიცხული იქნა 23 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 32, 1 დეკემბრისათვის დარჩა აღრიცხვაზე 96 უმუშევარი; უმუშევრებისადმი გაცემული დახმარება უდრის 3 მილ. მანეთს. განყოფილება აძლევს პენსიას ჯერ-ჯერობით 1 პენსიონერს. კონფლიქტები და შრომის დაცვის კანონების დარღვევის შემთხვევები არ ყოფილა.

მოკლე ხანში დამთავრებული იქნება შრომის ხარკის საშვალებით მე-3-ე პერიოდისათვის დაწესებული სამუშაოები.

**— ახალქალაქი.** (შრომის განყოფილება). აღირიცხა 15 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 5, 1 დეკემბრისათვის დარჩა აღრიცხვაზე 15. შრომისა და ტვირთზიდეის წესით მოხმარებული იქნა 309 ტვირთზიდვის დღე და 1323 მუშა-დღე.

— **გორი.** (შრომის განყოფილება). ნოემბერში აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 60 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა—31.

შემოვიდა 12 კონფლიქტი, გაირჩა—10, ხოლო 2 კონფლიქტის გარჩევა გადადებული იქნა, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო. შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის დაჯარიმებულია 3 კერძო მწარმოებელი, რომელიც უდრის 4.500.000 მანეთს. შრომისა და ტვირთზიდვის ხარკით გამოწვეული იქნა 2730 მუშა-ხელი და 1837 ტვირთზიდვის საშუალება.

— დეკემბრის 19-ს საქ. პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული პლენუმზე ფაბკომებისა და ქარხკომების დასწრებით მოსმენილი იქნა ამხ. იაშვილის მოხსენება დამზღვევი კასის 1922 წლის, პირველი ნახევრის მოქმედების შესახებ, რომელმაც ნათლად დაასურათა მუშამოსამსახურეთ სოციალურ დაზღვევის საქმის ორგანიზაციაში დამზღვევი კასის მიერ გატარებული თვალსაჩინო მუშაობა, რომლით სხვათა შორის გამოირკვა, რომ 1921 წელთან შედარებით 1922 წელს დამზღვევი კასის მიერ მეტათ გაუმჯობესებლი იქნა საექიმო დახმარების ორგანიზაცია, როგორიც არის საკუთარი სამკურნალოების მოწყობა, ექიმთა კადრის შექმნა და სხ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ—საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა 2000-მდე ავათმყოფობის შემთხვევებს, 52000 დღის ხანგრძლივობით, რისთვისაც გაცემულია 1.422 მილიონი მან.

— სიკვდილის შემთხვევები ყოფილა 215 და ამისათვის გაცემულია 276.275 ათასი მანეთი.

— კასის მონაწილეთ ცოლის მშობიარობის შემთხვევა აღნიშნულია 524, სულ კი ამ საქმისათვის გაცემულია 212 მილიონი მანეთი.

— პენსიონერთა საერთო რიცხვი 1 ნოემბრისათვის იყო 374, როგორ გამოირკვა.

ინვალიდობა უმეტესად გავრცელებულია შავ მუშებზე და შემდეგ კვალიფიციურ მუშებზე—ამისათვის გაცემულია 1.295 მილიონი მანეთი.

— ამ ჟამად დამზღვევ კასას აქვს 30 ამბულატორია და 5 კბილის საექიმო ამბულატორია, საშვალოთ დღეებში ამბულატორიით სარგებლობს 1236 კაცი.

ბინაზე სტაციონალურ დახმარების აღმოსაჩენათ არის 35 სარაიონო ექიმი, 31 კონსულტატცი და 19 სპეციალისტი, ამ მოკლე ხანში გაიხსნა კამოს სახელობის საავათმყოფო 150 საწოლი.

— დაზღვევის საპროცენტო ანარიცხის შემოსავალი უდრის თვიურად 7 მილიარდამე, მაშინ როდესაც უნდა იყოს 12 მილიარდამდე.

— პროვინციაში არის 24 დამზღვევი კასა, რომელთაც ეჭირებათ გამაგრება.

## პარტიაში

**„არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური წრე“**

დღეს, 24 დეკემბერს, საქ. მემ.. სოც. ფედ. ცენტრალურ კლუბში შესდგება მორიგი მოხსენება შემდეგ თემაზე „შესავალი პოლიტიკურ ეკონომიაში“.

დასწრება შეუძლია ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრებს.

დასაწყისი დილის 10 საათზე.

დღეს, შუადღის 12 საათზე „ტრიბუნას“ რედაქციაში დანიშნულია, მთავარი კომიტეტის სხდომა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

## სოციალური დაზღვევა

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოვებულ პლენუმის სხდომაზე საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების დასწრებით მოსმენილ იქმნა **ამხ. იაშვილის** მოხსენება დამზღვევი კასის მოქმედების შესახებ.

სტატისტიკური ცნობებით ქ. ტფილისში არის 40 ათასზე მეტი პროფკავშირების წევრი მუშა-მოსამსახურე და სოციალურ დაზღვევის საქმის ორგანიზაცია—ეს ვეებერთელა და მასთან ერთად აუცილებელი საჭირო სამუშაო გაატარა, მოაწესრიგა და გაუწია ხელმძღვანელობა საქართველოს გასაბჭოების დღიდან დღევანდლამდე—დამზღვევ კასამ.

სახელდობ, თუ რა გააკეთა დამზღვევ კასამ აღნიშნულ საანგარიშო დროს განმავლობაში—ამაზე ლაპარაკობენ შემდეგი ციფრები:

საავადმყოფო კასას გააჩნდა:

| | 1921 წ. | 1922 წ. |
|---|---|---|
| საკუთარი სამკურნალოები . . . | — | 30 |
| ექიმები . . . | 1 | 53 |
| კბილის ექიმები. . | — | 8 |
| ფერშლები. . . . | — | 42 |
| უბნის ექიმები . . | 10 | 35 |
| სპეციალისტები . . | 4 | 19 |
| კონსულტანტები. . | — | 31 |
| საკუთარი საავადმყოფო . . . . | — | 1 |
| სავარჯიშო დარბაზი | — | 1 |

სულ 1922 წლის პირველ წლის ნახევარში—52,834 მ.

წლის განმავლობაში სხვა და სხვა მიზეზით შრომის უნარის დამკარგავთ მიეცათ—4,422,014,000 მანეთი. რაც შეადგენს საშუალოდ 26,915 მანეთს თვითეულ დღისთვის ეს რიცხვი რა თქმა უნდა, მეტად მცირეა, მაგრამ აიხსნება მხოლოდ დამზღვევი კასის სიღარიბით.

**სამკურნალო და სარაიონო საექიმო დახმარება.**

საექიმო და სამკურნალო დახმარებისათვის 1922 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე—დაიხარჯა 190,615 მ.

ამბულატორიების რიცხვის გამრავლებამ და დაახლოებამ მუშათა ბინებთან მოიტანა ის შედეგი, რომ ახლა უფრო მეტი მუშა სარგებლობს სამკურნალო დაწესებულებით.

**დახმარება შრომის ინვალიდებს.**

პენსიონერ ინვალიდების საერთო რიცხვი 1922 წლის 1 იანვრისთვის იყო—374.

## ახალი ნანა

დაიძინე, ჩემო კოხტავ,
ჩემო სულის ვარდო;
მტრების გულის დასაწველად
უნდა გაიზარდო!
დღეს სხვა გვარი ხანა არის;
მეფობს შრომის შვილი;
სჭექს სიმღერა მაშვრალთ ჯარის,
მომხიბლავი ტკბილი.
სევდები და მწუხარება
ქარმა გადიტანა;
დაიძინე ჩემო ნორჩო,
ნანა, შვილო ნანა!
მშრომელ ხალხის სიყვარულში
ჰპოებ მხოლოთ შვებას.
გაიზარდე და ეტრფოდე
შენ მის გამარჯვებას!
სამშობლოს ნუ დაივიწყებ
რაც გინდ ნახო ჭირი;
ნუ გაყვები ავკაცობას
რაც ჩვენშია ხშირი.
მოდის ტკბილი სიმღერებით
განახლების ხანა;
დაიძინე, ჩემო შვილო,
ნანა, ნანი—ნანა!

**დ. კობიძე (ივანიშვილი)**

## ჩემი ცხოვრება.

ცამ ჩემთვის ერთხელც არ გაიელვა,
რისხვით დამიწყო მეხების სროლა;
ცხოვრება ჩემი არის ზღვის ღელვა
და ოკეანეს ტალღების სრბოლა.

ჩემი ცხოვრების ვიწრო ბილიკი
გადაეჩეხა კლდეებს, ნაპრალებს;
დავილუპები ვით „ტიტანიკი“
მაგრამ არავინ არ შემიბრალებს.

**ი. ხინველი.**

## სონეტი

მე ხევდა მივლის ვით ბავშს უვლის ძიძა-ლალები.
ციხე-დარბაზიც აიშენა ჩემს გულში მტკიცე.
დღეს მსურს პირველად მას გავექცე, თავს შვება მივსცე.
დღეს ფერიები მეწვევიან გრძელ დალალებით.

გამიტაცებენ ულრან ტყეში გიჟი ქალები;
ერთი მათგანი მიჩურჩულებს: „მე ვიცი, ვიცი,
სად იმყოფება შენი ტურფა ამაყი პრინცი!
გავიქცეთ მასთან! ახლოა, არ დავიღალებით!“

მივედით.. ბალი.. დარბაზები, ურიცხვი ხალხი,
ხალხი მორთული სანთლებით და შავ ჩაბალახით,
იქავე კუბო, შიგ ჭაბუკი თვალ დახუჭული.
ეს ხომ „ის“ არის, ეს „ის“ არის! ო, გული.. გული..
სურათი გაჰქრა.. მოჩვენებამ გრძნობა არია.
ატოკდა გულში მწუხარების მწველი.. არია..

## ზამთარში

სიკვდილის სახეს გააცოცხლებს ზამთრის მეფობა.
უფერულ დღეებს მოევლება თოვლის ნაფანტი.
იფარაონებს სითავხედე და თვითნებობა,
რომელთაც ხელებს მორჩილება მუდამ დაბანდა.

გაჩნდება ყინვა, ჩამოსული თეთრი ტარიფით,
მიწის შვილებზე გაჯავრდება და შურს იძიებს;
იტირებს ქუჩა გაფითრებით, როგორც არიფი
და ქარიშხალი მრისხანებით იპატრიცებს...

**ა. მაღულარია.**

ქ. ტფილისი, 8 დეკ.
1921 წ.

## ბიბლიოგრაფია

**„გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი“**

**№ 3**

ტფილისი. 17 დეკემბერი 1923 წ.

ჟურნალის სახელი ორიგინალობისა და სიახლის იმედს იძლევა. დიდი დეკლარატიული პათოსით გაიხსნა მისი პირველი ნუმერი. „ძირს ყოველგვარი რუტინა“, „ან სიკვდილი, ან განახლება“. ასეთ ალტერნატივზეა აგებული გალაქტიონ ტაბიძის დეკლარაცია.

პროჟექტორის შუქით დატება ბნელეთის, და თანამედროვეობის შეუკავებელი სრბოლა, რომელიც აცამტვერებს ყველაფერს დრომოჭმულს და დახავსებულს, სავსებით შეუგნია გალაქტიონ ტაბიძეს მაგრამ... მხოლოდ შეუგნია!

შემოქმედების მხრივ კი—დეკლარაციის მეორე გვერდიდანვე ჟურნალის მთელ დამსახურებას შეადგენს მზის სისინათლეზე გამოყვანა იმ მწერლობისა რომელთა უმრავლესობა გაჩენის პირველსავე დღეებში ჩაძირულან უნიჭობისა და წვრილმანების ბსკერზე ან სამართლიანათ დავიწყების მსხვერპლნი გამხდარან..

„თეატრი და ცხოვრება“-ს შემდეგ ჩვენს ლიტერატურას არ ახსოვს ჟურნალი, რომელსაც თავი მოეყაროს პოეზიის ასე გაუმართლებელ მიმდევართათვის და ისიც ასე ყოველგვარ სკოლისა და ლიტერატურულ credo-ს გარეშე.

იპოლიტე ვართაგავა და ია ეკალაძე ამშვენებენ ჟურნალის კრიტიკულ ნაწილს.

ეს ყოველგვარ განახლებისა მოულოდნელობის გალაჭარბება! უკანასკნელი ეძლევა ხელოვნების გაგებას, რომელშიც მას ალბათ ტოლსტოის „Что такое искусство“-დან ამოუკითხავს: „ხელოვნება არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პენსიები ეძლეოდათ შრომის უნარის სათანადო პროცენტის დაკარგვის მიხედვით.

ყველაზე მეტი ინვალიდ-პენსიონერი იყო მეოთხე ხარისხის—(88) შემდეგ მეცხრე ხარისხის (66). მეჩვიდმეტე ხარისხში არ ყოფილა არც ერთი პენსიონერი.

უმცირესი პენსია თვეში იყო 198.000 მანეთი, ხოლო უმაღლესი—1.600.000 მანეთი.

ცალკე თვეებში პენსიების რაოდენობა გამოიხატება შემდეგ ციფრებში.

| | |
|---|---|
| იანვარში | 304.500 |
| თებერვალში | 7.613.000 |
| მარტში | 22.889.000 |
| აპრილში | 48.361.000 |
| მაისში | 48.361.000 |
| ივნისში | 81.666.000 |
| ივლისში | 221.681.000 |
| აგვისტოში | 233.419.000 |
| სექტემბერში | 207.419.000 |
| ოქტომბერში | 423.957.000 |
| ს უ ლ | 1.295.129.500 |

მოყვანილი ციფრები თვალსაჩინო სურათია იმის თუ როგორი სისწრაფით გაიზარდა პენსიონერთა დახმარება 1922 წლის განმავლობაში.

დამზღვევ კასის ერთ-ერთ ძირითად დაწესებულებათ ითვლება დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმომჩენი ქვე-განყოფილება.

ქვე-განყოფილების ყველა ამბულატორიებს დახმარებისათვის მიმართეს:

| | |
|---|---|
| იანვარში | 10,333, ჯერ. |
| თებერვალში | 12,426, „ |
| მარტში | 16,364, „ |
| აპრილში | 16,258, „ |
| მაისში | 24,427, „ |
| ივნისში | 33,851, „ |

**სოციალურ დაზღვევის მახლობელი მიზნები.**

სოციალურ დაზღვევის მიზანია, რომ არც ერთი მშრომელი არ დარჩეს დაზღვევის გარეშე.

გარდა ამისა საჭიროა რაც შეიძლება გადიდებულ იქნას შემოსავალი. საქარხნო კომიტეტმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ პროცენტები ყველგან თავის დროზე იყოს აკრეფილი. თუ ძირითადი თანხა არ იქნება გაძლიერებული სოციალური დაზღვევის საქმე ვერ გააფართოვებს მოქმედებას.

**ორკვირეული სოციალურ დაზღვევის შესახებ.**

27 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე მთელ რესპუბლიკაში გაძლიერებული მუშაობა იყო სოციალურ დაზღვევის გარშემო.

ტფილისში მოხდა მუშა-მოსამსახურეთა 142 საზოგადო კრება.

ტფილისის მუშები დიდ ყურადღებას აქცევენ სოციალურ დაზღვევას.

ამხ. **იაშვილის** მოხსენების შემდეგ მიღებულია რეზოლიუცია:

მოისმინა რა მოხსენება დამზღვევ კასის და მის მოქმედების შესახებ საქართველოს პროფკავშირების გაფართოვებულმა პლენუმმა საქარხო-საფაბრიკო ადგილობრივ კომიტეტებთან ერთათ, დამაკმაყოფილებლად სცნო დამზღვევ კასის მუშაობა.

დამზღვევ კასის ახალმა გამგეობამ უნდა მიაქციოს ყურადღება შემდეგს:

1. გაატაროს ცხოვრებაში სრულიათ რუსეთის მე-V ყრილობის დადგენილება სოციალურ დაზღვევის შესახებ.

2. მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება დამზღვევ კასების დაარსებას პროვინციაში.

3. დამზღვევ კასის გამგეობამ და პროფორგანიზაციებმა გააძლიერონ თავისი მოქმედება, რომ ასაკრეფი ფული თავის დროზე იქნეს შეტანილი დამზღვევ კასაში.

4. მიიღოს მონაწილეობა სამკურნალო ადგილების დაარსება-მოწყობაში.

5. მიაქციოს დიდი ყურადღება სამხედრო წარმოების მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის საქმეს.

6. მიღებულ იქმნას ზომები ცალკე მომუშავე მუშების დაზღვევისთვის.

7. გაუმჯობესებულ იქნას დაზღვეულ მუშებისთვის. სამკურნალო საქმე.

**არჩევნები გამზღვევ კასაში**

ერთხმათ მიღებული იქნა სია ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი:

1. ხუტულაშვილი, 2. ელბაქიანი, 3. გოდაბრელიძე, 4. მაშკევიჩი (ქ. ა. ქ.) 5. შახნაზაროვი (მბეჭდავებიდგან) 6. სერგეევი (კომ. მეურ. მ.) 7. ცომაია (სამკ. სას. მ. ქ.) 8. მელიქოვი (საბ. მოსამს.) 9. არჩვაძე (საკვებ.-საგემ.) კანდიდატები. 1. სიტნიკოვი 2. გეგენავა. 3. იმნაძე.

სარევიზიო კომისიაში არჩეულნი არიან: ატოევი, ხარაზიანი, გოლდმანი და კანდიდატებათ დავითიანი და აგანოვი.

გაფართოებულ პლენუმის სხდომამ დაამტკიცა აგრეთვე ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი არაზინდის სანატორიუმის მომწყობ კომისიის შემადგენლობა. 1. მახარაძე, 2. გონაძე, 3 მახარაძე, 4 ძნელაძე, 5 ყურულოვი 6. ელბაქიანი, 7 დავითიანი, 8 სახ. ჯანმრთელობის კომ—დან, 9 სახ. შრ. კ.-დან, 11-უ-სახ. საბ. საბ.-დან, 12 სამკურნალო ქვ. განყ-გამგე, 13 ფოსტა-ტელ. სახ. კომ-დან.

(მუშა).

# საბავშო ბაღები და მათში მუშაობა

საერთო შთაბეჭდილება ასეთია, მაგრამ სჯობია თანდათანობით მივყვეთ. მოხსენებას კითხულობს რომელიმე საბავშო ბაღის ხელმძღვანელი.

მას უსმენენ.

დაასრულა.

თავმჯდომარე თხოულობს შეკითხვებს: აქა-იქ გაისმის სრულიად უმნიშვნელო კითხვები.

თავმჯდომარე სთხოვს მოხსენებას არსებითად შეეხონ.

სამარისებური დუმილი!

კუთხეებში კი ჩურჩული და ზოგან აღშფოთებაც გაისმის.

რაშია საქმე? რა არის ამის მიზეზი? გაუბედაობა? არა. იმიტომ, რომ ყველანი შინაურები არიან და ერთმანეთს ძალიან კარგად სცნობენ, მით უმეტეს არც სრული აუდიტორიაა რიცხვის მხრივ, მაშ რა?..

აი გულუბრყვილო და გულწრფელი პასუხი, როცა ერთს მასწავლებელს შევეკითხე ასეთი დუმილის მიზეზი: „მე მინდა ლაპარაკი, მაგრამ რუსული ცუდათ ვიცი. ქართულად რომ იყოს, სიამოვნებად იტყოდა ყველა თავის აზრს“.

განა გასამტყუნარია ასეთი ხელმძღვანელი?

ასეთი მოვლენა ხდება პატარა შინაურულ ანგარიშებურ მოხსენებებზე.

მაშ, წარმოდგენილი გაქვთ, რა ხდება „დიდ“ ე. ი. მთელ როთულ სისტემაზე მოხსენებების დროს?

აი, ასეც მოხდა როცა ქ. რუსუდან ნიკოლაძის ქალმა წაიკითხა მოხსენება მონტესსორის სისტემის შესახებ და აღიარა, რომ: ეს ერთად ერთი და ყველაზე ღირსეული და ღირსებით შემკული სისტემააო“.

ნუ თუ ყველა ერთხმად დაეთანხმა? მაგრამ, ღმერთმა უშველოს, ძალიან გააგრძელა, დაგვიანდა და კამათი შემდეგ ოთხშაბათისათვის გადაიდო (მთელი კვირა ვადა).

ველოდი ამ დღეს.

იქნება ერთი რომელიმე ხელმძღვანელი გამოსულიყო და თავის მუშაობის წყალობით და გამბედაობით ეჩვენებინა ესა თუ ის ნაკლი მონტესსორის სისტემისა, ან იქნება თვით მოხსენებას შეხებოდა ვინმე. (თუმცა ეს მოხსენება მრავალჯერ ყველა ენაზე იქმნა მომხსენებლის მიერ წაკითხული) და აღენიშნა მოხსენების ნაკლი მაინც.

ამაში სრულიად დარწმუნებული ვიყავით. თუ ქართველებს ენა უშლიდა, რუსები მაინც გამოვიდოდნენ!

გაიხსნა კრება!

თავმჯდომარე კამათისათვის იწვევს, შეკითხვები თუ არსებითი შეხება?

ბოლოს ერთი რუსის ქალი გამოვიდა და მომხსენებელს შენიშვნა გაუკეთა ტანვარჯიშობის შესახებ.

დანარჩენი არავინ!

გათავდა, განა სმისათვის გადადება ღირდა?!

მაგრამ აქ ფრჩხილები უნდა გაუხსნა ერთ მოვლენას:

საბავშო ბაღები ყველა ეროვნებისა, ავსილია ახალგაზრდა მასწავლებლებით მე მათი საწინაღმდეგო სრულიად არაფერი მაქვს, ვინაიდან მეც მათ ბანაკს ვეკუთვნი, მაგრამ ერთი რამ მინდა შევიტყო: რა „ატესტაციით“ ნიშნავს „ნაროზრაზი“ და კერძოთ ამ საქმის სათავეში მდგომი ამ მასწავლებლებს? იმითი რომ საშუალო სასწავლებელი აქვთ გათავებული თუ იმასაც აქცევენ **უმთავრესად** ყურადღებას იცნობს თუ არა ან შეუსწავლია თუ არა,—თუ გინდათ კერძოთ მონტესსორის სისტემა?

მე წინააღმდეგი კი არა, პირიქით, დიდი მომხრე ვარ ახალგაზრდებისა, სწორედ ასეთები უნდა დაინიშნენ საბავშვეო ბაღებში.

მაგრამ საქმე ახალგაზრდებში კი არ არის, არამედ სათავეში მდგომთ და გამგეების დაინტერესებაშია.

მათ შეუძლიათ ისე გაიტაცონ თავიანთ იდეიური (თუ ასეთია) მუშაობით ახალგაზრდა, ყველაფრის ადვილად შემთვისებელი გონება მასწავლებლისა, რომ ის სიხარულით დაეწაფება მონტესსორის თუ გინდათ სხვა სისტემის შესწავლას მეცნიერულად, ისტორიულად, პედაგოგიურისა და ზნეობრივის თვალსაზრისით. დააკვირდება თავის მუშაობას, გამოიტანს ერთგვარ აზრს გაუზიარებს თავის გამგეს, (ეს ხომ უფრო გამოცდილია) თავის თანამოსამსახურეს, გაათამაშინებს უფროსის დახმარებით და საჯაროთაც გამოვა. ამ გზით წინ წაიწევს როგორც მასწავლებლის მსოფლმხედველობა, ისე ნორჩ ბავშების აღზრდის მხარეც.

შემთხვევით თუ სურვილით შევიდნენ ისინი ბავშთა სამეფოში. მათ არავითარი უფლება არა აქვთ ბავშებს დაუხასიათონ როგორც ბავშები და თავიანთ თავი. ისე რომელიმე ... 

მათი მოქცევა წინდახედული, დაკვირვებული და სისტემა შესწავლილი უნდა იყოს.

მარტო პრაქტიკული მუშაობა ვერასდროს ვერ წარმოუდგენს სისტემის ძირითად მხარეს, ვერც შეისწავლის მას, თუ თეორიულად არ გაეცნო; ამიტომაც მათი პრაქტიკული ნაბიჯები ხშირად ყალბია თეორიულთან შედარებით.

აი, მე ამ სრულიად მოუმზადებლობით და ახალგაზრდულ დაუდევრობით და ინტერესს დაკარგულობით ვხსნი იმ სამარისებურ დუმილს, რომელიც სუფევს ქვედა სექციაში.

ერთ-ერთი საშუალებათაგანი ხალხთა ურთიერთობისა“; ხელოვნება იგივე მეცნიერებაა“. „პოეზია არის ფსალმუნება ამაღლებული სულისა და ღალადისი ქვენა გრძნობათაგან გამწმენდილი გულისა“.

ჩვენ არ გვეგულება საქართველოში მოქალაქეც კი—ასეთი პრიმიტიული გაგებისა ხელოვნებასა და პოეზიაზე.

ასე დაიწყო „რუტინების ნგრევა“ და „განახლება“ ამ ახალმა ჟურნალმა.

უკანასკნელი ნუმერი ამ ჟურნალისა მესამეა. ამიტომ ჩვენც უფრო ახლო მივუდგებით ამ ნუმერს.

ნუმერი იხსნება გალაქტიონ ტაბიძის ლექსით: „ეფემერები“ ჩვენ ვფიქრობთ გალაქტიონ ტაბიძე მეტის-მეტად „სეზონის პოეტი“ გამოდგა: იგი მაშხალისებურათ ავარდა ჩვენი პოეზიის ჰორიზონტზე და ნაადრევათ დაცხრა. მარტო ის ფაქტი, რომ ის დღეს ათი წლის წინათ დაწერილ ლექსებს კითხულობს საღამოებზე, უდიდესი დაეჭვებაა წინსვლასა და გამარჯვებაზე. დღეს იგი თავის ძველი ლექსების გადამღერებას უნდება, მაგალითათ: „შავი პელიკანი“, რომელიც ორი წლის წინათ დაბეჭდა, ეხლა ორბელიანისებურ „სადღეგრძელოებით“ გააჰიანურა. თვით ეს ლექსი—„ეფემერები“ გამღერებაა „ლურჯა ცხენების“. დატვირთული ისეთი ლაპსუსებით, როგორიცაა მაგალითად:

„ო, რამდენი დაცხრება შურიანი
თვალები,
რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი
შვენებით
ლექსთა შეჯიბრებაში მხოლოდ ინტერ-
ვალები,
ცხენთა შეჯიბრებაზე ისევ ლურჯა
ცხენები“.

ან კიდევ:

„ცხენთა შეჯიბრებაზე, ცხენთა შე-
ჯიბრებაზე,
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით ლურჯა
ცხენებო“.

№ 1-ში მისი ლექსები „ალზაორა“-ში მესამე ლექსის კომპოზიცია „თებერვალი დადგა“-ზეა დაყრდნობილი. ნიმუშები:

„შუქი ჩაიშალა
წყალი დაიფერა
სიო დაიბერა
ჩალა გაიჩალა“.

საერთოდ გალაქტიონ ტაბიძე ამ ჟურნალში ვერ იძლევა მოსალოდნელ პროგრესის რწმენას.

გობრომ აგარელის ლექსები ტერენტი გრანელის განმეორება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გრანელი სწერს უშუალო განცდით, აგარელი კი—მისი მიმბაძველობით. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია თვალი გადაავლოთ ამ ჟურნალში დაბეჭდილ მის ლექსებს.

სეზმან ერთაწმინდელის ლექსი არ არის პოეზია. აქ არ არის ნასახი ინტუიციის. აქ ტანჯვაა რითმებისათვის და ჯახირი: მაგ. უამინდო—ფუ არ ინდო; მწვერვალის—მწველ ალის. ან რაა ესთეტიური კრიტერიით: „და მთვარე შუბლ აკრეფით სწერდა რომანს მარა... ყბა
მოღრეცილი შავნაბადა იცინოდა დაღრეჯით“.

კიდევ: „ბევრი ავიზმორებით ულირს ტანს აიქექავს“.

ნარ-კანის ლექსი „ჩემს მაესტროს“.

ვარლამ დონდუას თარგმანი საინტერესოა და მისალები.

უფრო უმწეოა კრიტიკული ნაწილი: ნ. გერგესელის გრძელი წერილი გალაქტიონ ტაბიძეზე სავსეა ულოღიკობით. აქ თანამედროვეობა დახასიათებულია, როგორც ლითონის ეპოქა და გალაქტიონი—ეპოქის პოეტათაა აღიარებული, თუმცა მის პოეზიაში ლითონის კულტის ნასახიც არა სჩანს. ამ წერილში იმდენი სიყალბეა, რომ მათი დასახელებაც კი გადაგვაცილებს ბიბლიოგრაფიის საზღვარს. ნ. ელიანის წერილი „მწერლობისათვის“ შაბლონიური ახსნაა მწერლობის მნიშვნელობის და სრულიად უკულტურო ხოტბა „მირონცხებულ პოეტისა“ (თქმა ავტორისაა).

ამ რიგად ეს ჟურნალი სრულიად არ არის გამართლება მისი დეკლარაციის.

საერთოდ, ეს ჟურნალი დამცირებაა გალაქტიონ ტაბიძის სახელისა და ავტორიტეტს, თუმცა ის ალბად წინააღმდეგშია დარწმუნებული.

**ონი**

**დედაბერი, ტურა და მელია კუდიგძელია.** დასურათებული ზღაპარი ბავშვთათვის. სახელმწიფო გამომცემლობა. წიგნი დიდი ფორმატისაა, შეიცავს სულ 8 გვერდს და დასურათებულია ლამაზი ფერადი სურათებით. ამ მხრით წიგნს წუნი არ დაედება; პირიქით იშვიათი გამოცემაა, მაგრამ ყოვლად მიუღებელია მისი შრიფტი. გამოცემის გასაიაფებლად ტექსტიც ხელით დაუწერინებიათ და სურათებთან ერთად ლიტოგრაფიულად დაუბეჭდიათ. მაგრამ არ ვიცი ვის დღააერინეს ტექსტი. ასეთი უშნო, არეულ-დარეული უსწორ-მასწორო ნაწერის მიცემა ბავშვებისათვის არ შეიძლება. მშვენიერ სურათების შთაბეჭდილებას ძლიერ აფუჭებს ეს მახინჯი შრიფტი. ამას აუცილებლივ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგისათვის მაინც. თუ კი სურათების დამხატავი იშოვეს, არც კალიგრაფის შოვნა იყო ძნელი. აქ ეკონომია ყოვლად გაუმართლებელია.

**დილ,**

# არჩილ ჯორჯაძე

**მცირე მოგონება დიდ კაცზე.**

მკითხველს უკვე ვაუწყეთ, რომ არჩილი იმ ხანათ (1912 წ.) ლოგინად იყო ჩავარდნილი, დაღრეჯილი და შავი ლანდი სიკვდილისა ემუქრებოდა არჩილის სიცოცხლეს და მით ემუქრებოდა საქართველოს... დაკარგვა უდიდეს ზიანს მიაყენებდა ეროვნულ ფრონტს.

არჩილის სახე არ ჰგავდა ჩვეულებრივ მომაკვდავის სახეს, ვინც დააკვირდებოდა მას, იმ დროს. იგი უეჭველად იტყოდა: „ჭეშმარიტად დიდი ბუნებოვანი ადამიანის სახეაო.

ფიზიკურად მიმავალ არჩილის სახის პროფილი და ყველა მოხაზულობა ამაყად და მედგრად ამბობდა შემდეგს: „მართალია მე ხორციელად ვსტოვებ სამშობლოს, მაგრამ უკვე ღრმათ მრწამს რომ ჩემი მისია მე შევასრულე, ქართველმა ხალხმა უკვე დაიწყო თავის უფლებებისათვის ბრძოლა და ეს ბრძოლა უთუოდ მის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდებაო“.

აწ ნება მიბოძეთ დაუბრუნდე ისევ საყვარელ არჩილის „პალეროიალში“ ყოფა-ცხოვრებას. ტფილისში არჩილი დიდათ ხელმოკლეთ სცხოვრობდა, მასთან ხშირად მოსიარულენი იყვნენ მისი თანამოაზრენი და სხვანიც. არჩილი მუდმივ მარტოობაში ატარებდა დროს, სარეცელზე წაქცეული მას გულს წიგნი ედო და ისე სწერდა.

სუნთქვა წართმეული კაცი ზესთაბუნებრივ გრძნობით განაგრძობდა დიად ანდერძის წერას, რომლითაც ააფეთქა და გაარღვია ის მახინჯი მოჯადოებული წრე, რომელიც შექმნილიყო საქართველოს ეროვნულ უარყოფისათვის. დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის გამოქვეყნების ხანებში იყო რომ დაისტამბა არჩილის სტატიები ეროვნულ საკითხის ირგვლივ, რომელმაც მიიპყრო მთელ მოაზროვნე და სამშობლოს მოყვარე საქართველოს გულისყური.

ამ ხანებში იყო, რომ არჩილმა ყუმბარა ესროლა თავად-აზნაურობას, შერცხვენებით ამხილა რა მათი მლიქვნელობა და რუსის ტახტისადმი ერთგულება, რომლის შედეგიც იყო საქართველოს გაყიდვა „ჩინ-ორდენებზე“.

თავად-აზნაურობა გაწიწმატდა, უცხო ხიშტებზე შემჯდარმა და თავის ზურგში მარქაფა ძალად მეფის ბიუროკრატიის მყოლემ წოდებრივ გაზ. „ზაკავკაზიეში“ თავის უმანკოების დაცვა დაიწყო, მაგრამ არჩილს რას დააკლებდა ეს ხერხემალ გაფუჭებული საქართველოს გამყიდველი ხალხი!..

ერთ დღეს შევაღე არჩილის სასტუმროს კარები დიდი სარდალი ჩვეულებრივად იწვა და ღიმილით ჰკითხულობდა გაზ. „ზაკავკაზი“-ეში თავად-აზნაურობის უსუსურ პასუხს...

არჩილმა მითხრა წამეკითხა ხმა მაღლა მისთვის მისი სტატიების ის ადგილი („სახალხო გაზეთში“) რომელიც ეხებოდა პეტრეს ქალაქს „დიპლომატიურ მისიით“ წასულ მიხ. მ—ლს. შემდეგ არჩილმა დამიწყო ლაპარაკი 832 წ. ამბოხების შესახებ.

ამ ლაპარაკისავე დროს მან მკითხა მგოსან სანდრო შანშიაშვილის გერმანიიდან გამოსვლის შესახებ, საერთოდ არჩილი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა ქართველ მგოსნებს. ყოველ დასტამბულ ქართულ ლექს იგი წაიკითხავდა თუ არა, შემდეგ ზოგ ადგილებს ფანქრით ახაზავდა და იქვე სასთუმალთან მდგომ პატარა მაგიდაზე დააწყობდა.

მახსოვს როგორის ხალისით და ღიმილით ხვდებოდა არჩილი მის სანახავად მოსულ მგოსნებს ი. გრიშაშვილს, ს. ფაშალიშვილს და ი. მჭედლიშვილს.

— რა იცი ჩემო პატარა ქართველო შენ 832 წ. ამბოხების შესახებ? მე არჩილს თითქმის ზეპირად მოუყევი მისი სტატიები ამ ამბოხების შესახებ. არჩილს სახე კვლავ უღიმოდა.

— აბა რა მიგაჩნია ჩემო პატარავ გაუგებარი ამ ამბოხებიდან?

— ბატონო რისთვის დამარცხდნენ ქართველები, რატომ ვერ განთავისუფლდა საქართველო?

— ჩემო პატარა ქართველო, ის ვინც მაშინ საქართველოს განთავისუფლებას „ფიქრობდა“, მას საქართველოსთან—ქართველ მშრომელ ხალხთან კავშირი არა ქონდა, ამ ამბოხებას სადილ-ვახშამებზე ამზადებდა ქართველ მეფის ნათესაობა და პირად უფლებების მაძიებელი თავად-აზნაურობა.

შენ როს დავაჭკაცდე და საქართველოს სამსახური დაიწყო მარად გახსოვდეს ხალხი, ქართველი მშრომელი ხალხი, ყველა ნამდვილ ქართველ ხალხთან უნდა იდგეს პირისპირ, მის ნება სურვილთ ანაღდებდეს და მაშინ გამარჯვება აუცილებელია.

არჩილი განაგრძობდა ლაპარაკს მაგრამ ამ დროს შემოვიდა მასთან ნ. ყიფიანი და ექიმი.

913 წ. მარტის თვეში არჩილი ხორციელად უკვე აღარ იყო საქართველოსთან!..

საქართველომ არჩილი ხორციელად დაკარგა, მაგრამ არჩილის საყვირი მარად მძლედ გაისმის საქართველოს წიაღში და ქართველ მშრომელ ხალხს მარად ცეცხლეულ ბრძოლისათვის ეძახის...

საქართველოს თავისუფლების მედროშე არჩილი ისევე უკვდავია, როგორც თვით ერი შოთასი!..

918 წ. სამშობლოს გარეთ ვიყავ. შავი ზღვის ერთ ნაპირზე გერმანეთიდან მომავალ ქართველ სამხედრო ტყვეთ ვესაუბრებოდი.

ერთ სამხედრო ტყვეს ხელში არჩილის თხზულებათა I წიგნი ეჭირა და მას გატაცებით კითხულობდა. მას სტამბოლში გამოვლის დროს ჩავარდნოდა ხელში.

ის ტყვე, რომელსაც არჩილის წიგნი ეპყრა ხელთ ამბობდა: „ამდენ ვაების და წამების შემდეგ ღრმად დავრწმუნდი, რომ ყველაზე უფრო ძვირფასი კაცისთვის სამშობლო ყოფილა რა ბედნიერება არ მიმზადდებოდა მე შორეულ ავსტრიაში, მაგრამ გეფიცებით სინიდისს, რომ მთელ სიმდიდრეზე და ფუფუნებაზე ცხრა მთას იქით ავსტრიაში მე ვერ გავსძელიო.

ღამის არის ჰკუიდან შევიშალო სამშობლოს ნაპირებს რომ უახლოვდები, რა დიდი კაცი ყოფილა არჩილ ჯორჯაძე, რომელმაც ამ ორ ათეულ წლების წინად, მედგრად დაიწყო სამშობლოს დაცვა!.. ვაშა მის მზგავს ქართველებს!!! დაასრულა სამხედრო ტყვემ.

მე უსაზღვრო სიამოვნებით ვისმენდი სამხედრო ტყვეს ასეთ საუბარს.

**ირ-დი**

# „ჩემოს“ საზოგადო კრება

20 დეკემბერს „ჩემო“-ს შენობაში შესდგა ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოების წევრთა საერთო კრების პირველი სხდომა. თავმჯდომარეობდა ამხ. მოდებაძე, თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა ამხ. გ. გ. ტარსეი, მდივნად ს. მ. მესხიევი.

**პ. მოდებაძის სიტყვა.**

გახსნა რა სხდომა პ. მოდებაძე მიესალმა კრებას. შემდეგ მან დაახასიათა საქართველოს შავი ქვის მრეწველობის მძიმე მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ევროპისაგან ხანგრძლივ მოწყვე-

ტით და შავი ქვის მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი პოზიციების დაკარგვით. ამ ჟამად არსებულ შავი ქვის გაზიდვის ციფრს ჯერ არ მიუხწევია უკანასკნელი ათი წლების გაზიდვის საშუალო ნორმამდე. საგარეო ბაზრებზე მდგომარეობა რთულდება იმით, რომ საზღვარ გარეთ აღმოაჩინეს შავი ქვის ახალი მადნები.

უკანასკნელი და ყველაზე უფრო მძიმე ლახვარი შავი ქვის წარმოებას ნიაღვარმა ჩასცა: წყალმა წაიღო შავი ქვის მთები, მათ ადგილზე დარჩა მხოლოდ ყვითელი ქვიშა.

მაგრამ პ. მოდებაძეს იმედი აქვს, რომ ყველა ეს დაბრკოლებანი გადალახულ იქნება.

**ვარაზაშვილის სიტყვა.**

შემდეგ გამოვიდა „ჩემო“-ს საბჭოს თავმჯდომარე ის. ვარაზაშვილი. მან დაასურათა შავი ქვის მრეწველობის ყველა მტკივნეული საკითხები. მიესალმა რა კრებას ორატორმა სთქვა:

— „ეს პირველი მორიგი კრება—ჩვენი გამარჯვებაა. ის მოწმობს, რომ ჩვენი მეურნეობის უმთავრესი, ყველაზე უფრო დიდი დარგი შენარჩუნებულია.

„ჩემო“ დაარსდა გარდამავალ ხანაში, როდესაც ძველი წყობილება ველარ უძლებდა რევოლიუციის შემოტევას და იხგრეოდა, ყველა ღირებულებათა ახლად შეფასების ხანაში.

რევოლიუციამ გაახათილა ყველა ძველი ხორძები, ახლები კი მხოლოდ მუშავდებოდა. ახალი საფუძვლის და ნორმების ფორმაში ჩამოყალიბებით, რასაკვირველია, მდგომარეობა გაუმჯობესდა. ქვანახშირის საზღვარ-გარეთ გასაზიდად დაარსდა ახალი ტიპის ორგანიზაცია.

ორატორი შეეხო აგრეთვე მუშათა საკითხს ჭიათურაში, შავი ქვის თვითღირებულებას, ფრახტს და სხვა საკითხებს.

„თქვენი თვალის წინ ინგრეოდა და ილუპეოდა მსხვილი სამრეწველო წარმოებები და ორგახიზაციები, მაგრამ ჩვენ არა თუ არ დავკარგეთ ჩვენი მნიშვნელობა, არამედ გავაცნეთ ჩვენი თავი მთელ ქვეყანას. სახელი „ჩემო“ ნაცნობია პარიზისთვის, ლონდონისთვის, ბერლინისთვის და ევროპის ყველა სამრეწველო ცენტრებისათვის—ამაშია ჩვენი გამარჯვება.

შემდეგ ორატორი ესალმება დაწესებულებების და უწყებათა წარმომადგენლებს, რომელნიც მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან საქართველოს შავი ქვის მრეწველობასთან და გამოსთქვამს იმედს, რომ ყოველგვარ უთანხმოებას, თუ ასეთი არსებობდა, ბოლო მოეღება, რადგან „შავი ქვის საქმის გამარჯვება არის თვით სახელმწიფოს გამარჯვება“.

კრების საპატიო თავმჯდომარედ არჩეული არიან სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და წევრები.

**ბაქრაძის სიტყვა.**

შავი ქვის მრეწველობის ყრილობის საბჭოს სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ბაქრაძე.

„გაერთიანებული სინდიკატის შექმნის იდეა ჩაისახა ჯერ კიდევ 10—12 წლის წინად. მაგრამ ძველი მეფური მთავრობა მტრულად იყო განწყობილი საქართველოს მრეწველობის მიმართ და შუამდგომლობაზე ყოველთვის უარს გვეუბნებოდენ. რევოლიუციამ შექმნა ეს სინდიკატი, გააერთიანა რა მუშაობა შავი-ქვის მრეწველობის შიგნით და მის გარეთ უცხოეთის ბაზრებზე. რევოლიუციამ მოგვცა ჩვენ დასაყრდნობი საფუძველი, ეს მამოძრავებელია—მთავრობის დახმარება და მთავრობაზე დაყრდნობით ჩვენ ადვილად დავიპყრობთ საგარეო ბაზრებს.

**მისალმება სახ. კომისართა საბჭოსაგან.**

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის სახ. კომისართა საბჭოს წარმომადგენელი ამხ. კ. ს. მოდებაძე, რომელაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს იხსნება „ჩემოს“ შავი ქვის მრეწველთა პირველი საერთო კრება. ერთ დროს ბევრს ეგონა, რომ „ჩემო“ აღარ იარსებებს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ყოველთვის ხელს უწყობს მრეწველობის განვითარებას, ამას რასაკვირველია არ დაუშვებდა არც ერთი ხელისუფლება ისე არ უფრთხილდება მრეწველობას, როგორც საბჭოთა ხელისუფლება. და ეს მისახვედრია, რადგან შავი ქვის მრეწველობა ერთად ,ერთი, მსხვილი მრეწველობაა საქართველოში, ის საჭიროა სახელმწიფოსთვის, როგორც რეალურ რესურსების მიმწოდებელი.

„მთავრობა გიწევთ რა თქვენ დახმარებას,—ამბობს ორატორი, თავის მხრივ თქვენგან მოითხოვს ყოველ მხრივ ხელის შეწყობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მიზნები შეიძლება სხვა და სხვა იქნეს“.

**მისალმება შრომის კომისარიატისაგან**

შრომის სახ. კომისარიატის სახელით გამოდის ამხ. მიქაძე. ესალმება რა კრებას, ის არკვევს სამუშაო ხელფასის დაწესების საფუძველს.

„ჩვენი შრომის პოლიტიკა განვითარების სრულ საშუალებას აძლევს მრეწველობას, აწესრიგებს რა შრომის და მწარმოებელთა ურთიერთობას. სამუშაო ხელფასის დაწესების დროს შრომის სახ. კომისარიატი მხედველობაში იღებს მრეწველობის მდგომარეობას და მის ძალას კონფლიქტები მუშებსა და მწარმოებლებს შორის ყოველთვის შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს საკონფლიქტო კომისიის მიერ, რომელსაც შეუძლია თავისუფლად მიმართონ, როგორც მუშებმა ისე მწარმოებლებმა. კოლექტიური ხელშეკრულების შედგენის დროს ჩვენ ვეყრდნობით სამუშაო ხელფასის მინიმუმს და ამიტომ ამ სფეროში საყვედურები სრულიად უსამართლოა“.

2 საათზე სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა შესდგება 23 დეკემბერს.

(„კომ.“)

## გედეონ დარახველიძე

დღეს შავ მიწას უნდა მიაბარონ გედეონ ვლასისძე დარახველიძე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ფრიად ლამაზი და ბრგე ვაჟკაცი გახდა მსხვერპლი ჩვენი ქვეყნის ახლად-მოვლენილ უბედურების, პარტახტიანი ტიფისა.

შედარებით სხვა ქვეყნებთან ჩვენ ბედნიერი ვიყავით მით, რომ ისეთი სიმწვავით არ განგვიცდია დიდი განმანადგურებელი ომის ასპარეზობა, მაგრამ რაც განვიცადეთ, მას, რომ მიუმატოთ ლტოლვილების მიერ მოძღვნილი სნეულებანი და მის მიერ შეწირული მთელი რიგი მოღვაწეებისა და პატიოსან ქართველებისა,—მგონია სხვა ჩვენისთანა პატარა ერს ერთი ორათ გადავაჭარბოთ ეროვნული ზარალით.

გედეონ დარახველიძე არ იყო არც მწერალი, არც დიდი პოლიტიკური მოღვაწე, მაგრამ მისი ოჯახი 1903 წლიდან ემსახურებოდა რევოლიუციის საქმეს მით, რომ მასთან ყოველთვის ქონდა თავშესაფარი ჩვენს რევოლიუციონერებს განურჩევლათ მიმართულებისა. ძველი ქართველური კეთილი გული და პურმარილიანობა, მასთან უსაზღვრო სიყვარული თავის ერისა ახასიათებდა გედეონს. ვისაც მასთან რაიმე საქმე ქონია ყველა წაიღებდა მისგან თბილ გრძნობისა, და შეგნებული ქართველის შთაბეჭდილებას. ყველა მისი კეთილები და ნაცნობებითვალცრემლიანი დაესწრებიან მის დასაფლავებას, მაგრამ არ დაივიწყებენ მის კეთილ მომღიმარ სახეს.

შენი მეგობრები კი ყველა გულდათუთქული ცხელი ცრემლებით გაათბობენ იმ ცივ სამარეს, შენს ახალს სამოსახლოს... მშვიდობით ძმაო!. იძინე შენი საყვარელ სამშობლოს უბეში და მით მაინც იყავ ბედნიერი.

**შენი კაპიტონი.**

## ბნელეთის ავგაროზებს

ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ჯერ კიდევ ადგილი აქვთ ადამიანის სისხლის მსმელ ელემენტებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით... ჯერ კიდევ ვერ არის ამოწყვეტილი უკუნეთის ორ-ფეხა ცხოველთა ბუნაგი დედამიწის პირიდან მათი ალგვით, რომლებიც თავის შავბნელ ზრახვათა საფარიდან შემთხვევით გზაზე მიმავალ ადამიანს ულმობელ ტყვიით გულს უგმირავენ. როდემდის უნდა იყოს დანდობილი ადამიანი ორფეხა ცხოველებისგან დევნილი მსგავსათ იმ ნადირისა, რომლის მიზანში ამოსაღებათ საჭიროა განმარტოებულ ჯაგთან ჩასაფრება...

— ნიკოლოზის რეჟიმი ჯარის-კაცებს სამი მანეთით ასაჩუქრებდა საპყრობილეს ფანჯარასთან ჩაფიქრებულ პატიმრის მოკვლისთვის...

— გარეთ კაცის მკვლელი, მაშინდელ გვირგვინოსან სამსჯავროს წინაშე სიტყვა მოსწრებულ დაქირავებულ ვექილების სჯა-ბაასის საგნათ იყო გადაქცეული, სანამ მას ან არ გაამართლებდნენ ან მცირე სასჯელს არ მიუსჯიდნენ...

— მენშევიკურ მთავრობის დროსაც კაცის სიცოცხლე ბნელეთის ავგაროზთა იაფფასიან ბაზარს არ გასცილებია...

— საბჭოთა ხელისუფლების კანონთა კოდექსში დათმობილი უნდა ჰქონდეს ადგილი იმ უსასტიკეს ზომებსაც, რომელიც მიმართული იქნება კაცი ჰამიათა წინააღმდეგ.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პროლეტარული დიქტატურა ბნელეთის ავგაროზებს გაანადგურებს და სასტიკათ დასჯის მოქ. გეორგაძის მკვლელს ისევე, როგორც დაისაჯნენ დუშეთის ნაძირალები ამხ. დ. ფარესიშვილის მოკვლისთვის.

— მშვიდობით განისვენე, უდანაშაულო მსხვერპლო!..

ი. ტ—ი.

1922 წ. დეკმრის 23.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 26.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.**

**ამიერ-კავკასიის რკინის გზათა წინააღმდეგ სარჩელთა აღძვრის წესის შესახებ.**

რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწორი გადაწყვეტა სასამართლოში ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამოქალაქო საქმეებისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოსარჩიელე, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს წინააღმდეგ სარჩელს აღძრავს, ვალებულია წარუდგინოს სასამართლოს სარჩელის არზის და ამ არზის ყველა დანართი დოკუმენტის შემოწმებული ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არზას მსვლელობა არ მიეცემა,

2. სარჩელის არზის და დანართების ასლს სასამართლო გაუგზავნის რკინის გზათა სამმართველოს, სასამართლოში გამოსაწვევ უწყებასთან ერთად; ამასთანავე, უკეთუ სარჩელი სიტყვიერად იქნა შეტანილი, სამმართველოს გაეგზავნება სასამართლოში შედგენილი ოქმის ასლი.

3. რკინის გზის საქმის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების ან იმ დადგენილების ასლი, რომელიც ცალკე უნდა იქნეს განსაჩივრებული, სახალხო სასამართლო გაუგზავნის რკინის გზათა სამმართველოს, რომელმაც, თავისი მხრით, დაუყონებლივ უნდა აცნობოს სასამართლოს ამ ასლის მიღების დრო.

4. გადაწყვეტილების ან დადგენილების განსაჩივრების ვადა რკინის გზის სამმართველოსათვის დაიწყება გადაწყვეტილების ან დადგენილების ასლის მიღების დღიდან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. დეკემბრის 20.

ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 27.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მიწის კანონთა დარღვევის გამო სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოქალაქე, რომელიც დაარღვევს 1922 წ. მაისის 26-ს გამოცემულ „მიწათმოწყობის დებულების“ მე-15 პუნქტში აღნიშნულ წესებს: გაჰყიდის, გააჩუქებს ან იჯარით გასცემს მისთვის სარგებლობის უფლებით მიცემულ მიწას, სასამართლოს წესით პასუხს აგებს, ისევე, როგორც მისთვის განსაზღვრულ მიზნით ჩაბარებული ქონების მითვისებისა და გაფლანგვისათვის და დაისჯება იძულებითი მუშაობით ექვს თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვით, მიწის სარგებლობის უფლების ჩამორთმევით; ამასთანავე ხელშეკრულობა გაბათილებულ იქნება.

2. მოქალაქე, რომელიც იყიდის, საჩუქრად თუ გირაოდ მიიღებს ან იჯარით აიღებს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ მიწას, დაისჯება ისევე, როგორც იმავე დანაშაულებრივი მოქმედების მონაწილე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. დეკემბრის 20.

ტფილისი—სასახლე.

### წერილი რედაქციის მიმართ

ამით ვაცხადებ, რომ მე არა ვარ და არც მიფიქრნია ვიყო წევრი ცენტრალურ კომიტეტის „живая церков“-ის ან რუსეთის სხვა რომელიმე ეკლესიის, რადგანაც ვარ წევრი საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიისა.

რაც შეეხება „живая церков“-ში № 8—9-ში ერთ მოწოდებაზე ჩემი ხელის მოწერას, ეს არის მხოლოდ თანაგრძნობის ნიშანი ჩემის მხრივ პროგრესიულ იდეებისა, სხვა არაფერი.

ხოლო რაც შეეხება კომიტეტში ჩემი გვარის მოქცევას, ეს არ გაუგებრობაა კომიტეტის მხრივ, ან ჩემი გვარის ბოროტად მიხმარება.

**დეკანოზი ი. ჩიჯავაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა ადგილობრივი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს თანამშრომლებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას 10 დეკემბერს ბოროტ-განმზრახველების მიერ კუმისის ტბის მახლობლათ ვერაგულად მოკლულ კავშირის წევრის მე 7-ე საგადასახადო განყოფილების გამგის

გიორგი გერმანეს ძე
ბიორბაძის

დაკრძალვა მოხდება 24 დეკემბერს კვირას დილის 10 სიათზე განოვის ქუჩა № 3 ვერის სასაფლაოზე.

№ 227 3—3

თავზარ დაცემული დედა ოსანა, ცოლი ვასასი, დები: ცაცა, ნინა, საშა და ლიზა, შვილები ვასიკო, ელიზა და ბელურა (ვახტანგი) სიძე აკაკი ბაქრაძე ვაუწყებთ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს უდროოთ გადაცვალებას 21 დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ

გედეონ ვლასის ძე დარახველიძის

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5—7 საათზე სახლში გოგოლევის ქ. № 23. დაკრძალვა მოხდება კვირას 24 დეკემბერს 11 საათზე, ვერის სასაფლაოზე.

№ 230. 2—2

ქვრივი ვასასი გერმანეს ასული ფანცხავა ულრმეს მადლობას უძლვნის ყველას, ვინც დაესწრო მისი მეუღლის, ქუთაისის ხაზინის ყოფილი უფროსი მოლარის,

პროკოფი ვასილის ძე
ფანცხავას

დაკრძალვას და ვინც ანუგეშა წერილობით ან დეპეშით.

1—1

რაჟდენ გლახუნის ძე დუმბაძე, ანეტა გლახუნის ასული ავალიანისა და გიორგი გლახუნის ძე დუმბაძე—ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას 24 დეკემბერს კოლოუბნის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, მათთვის დაუვიწყარი სიძის

მღვდელ სიმონ მიხეილის ძის
ჩიჩუას

სულის მოსახსენებლათ. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. წირვის შემდეგ პანაშვიდი.

კვირას, დეკემბრის 24-ს დილის 11 საათზე
განათლების მუშაკთა კავშირის ბინაზე
(პროფ-კავშირთა საბჭო № 35)
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა
გაწმენდა ბეჭდვითი მუშაკთა სექციისა

გაწმენდაში გაუვლელთა გამოცხადება სავალდებულოა. გამოუცხადებელნი მექანიკურათ გაირიცხებიან.

№ 223 1—1

დედებო! სამშობიარო სახლიდან გამოსვლის შემდეგ ძუძუ მწოვარა ბავშთა აღზრდის შესახებ რჩევა-დახმარებისთვის მიმართეთ ჩამოთვლილ კონსულტაციებში:

1. ვერის ბოზარდჟიანცის თამბაქოს ქარხანაში.
2. მიხაილოვის რეუტოვის და ნიკოლოზის ქ. კუთხეში № 43.
3. სადგური-სადგურის ქ. № 8, ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანა.
4. ორთაჭალის-ვორონცოვის ქ. ბდელხანოვის ქარხანა.
5. ავლაბრის-მეტეხის ქ. № 10.

226 5—3 მედიცინის ექიმი **შენგელაძე.**

დოკტორი გ. მებრაბიანცი
„უ. ასისენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“
შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა. რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.
იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.

№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 35

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტისაგან

**საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს საყურადღებოთ**

იმ ანგარიშვალდებულ პირთა და დაწესებულებათა, რომლებზედაც ითვლება გაუმართლებელი ავანსები და ვალები, აუცილებლად უნდა გაამართლონ ავანსები სათანადო გასამართლებელი საბუთების წარმოდგენით (თუ ავანსი გაუხმარებელია ფულად უნდა წარმოადგინონ) და ვალები გადაიხადონ მომავალ 1923 წ. 1-ლ იანვრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა საქართველოს საგანგებო კომისიას სათანადო ზომების მისაღებად.

**საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.**

22 დეკემბერი 1922 წ. ქალ. ტფილისი 3—1


ტირაჟი 1,000

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.